

№ 3-67



ქარელ-კვირეული უწოდალი

№ 11

რილიჩაზი მიოხევა

სახელი	.....
გვარი	.....
ასტერ	.....
ტელეფონი	.....
ლინეა	.....

9778

ვასი 10 ბბ.

# მიიღება ხელის მოწერა

შოთა გვარის საზოგადო-მკონფერენცია



და. სალიტერატურო უნივერსიტეტი

## „პლატი-ზერ.“

1913 წლის იანვრიდან ქურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრირირები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თნამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ფასი:

1 წლ.	6 თვ. 3 თვ.	1 თვ.	ცალკე	№
5 ბაზ.	2 ა. 75	1 ა. 50	50 კ.	10
4 ბაზ.	2.50	1 ა.	40 კ.	10

საზღვარ გარედ  
შველა ფასებს ემა-  
ტებათ თევშინ შა-  
ური გადასაგზავნი.

სოფლის მასწავლებელთ, სამჭიდვე-  
ლოებს, სტუდენტებს და კომპერა-  
ტიულ დაწესებულებათ დაუთმობათ

განცხადების ფასი:

კანტორასთან შეთანხმებით.

ლიტერატურულ-კულტურული  
საკუთრო და სამრეწველო ბიურო

# „ი ვ ე რ ი გ“

პარიზი

იძლევა ერველ გვარ ცნობას,

ჰერიტე მარნეულობას და სხ.


აღმასრულებელი: Paris Faubourg Montmartre 10

3305

5-67.

№ 11

10 მარტი 1913 წ.



ვისაც 1913 წლ. არ  
გამოუწერია უურნალი  
„კ ლ დ ე“, იანცრიდან  
ალარ ეგზავნება.



შოველ კვირის საზოგადო ეკონო-

მიური და სალიტერატურო ჩარჩალი

რედაქცია ლია 10 - 3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეტაქტი: თბილისი კლდე.

## ურ. კლდის პანტორისაგან

რედაქციაში იყიდება უურნალ კლდის და-  
კაზმული კომპლექტები 1912 წლისა. ფასი ქა-  
ლაქში. — 1 მან. ქალაქ გარედ — 1 მან. და 25 კ.

უველა ხელის მომწერთ ვთხოვთ დროით  
შეგვატყობინონ ხოლმე, თუ რიგზედ არ მის-  
დით უურნალი, რომ თავდარიგი დავიჭიროთ.

სარჩევი: ღადოს. — დექსი ი. გრიშავილისა.  
შინა მრეწვ. აგონია ჩექნში. — თევდ. ლლონტი-  
სა. მეცნიერები სიბერე თუ შარლატინბა. — ქარ-  
თლელისა. უქანასკნელი ამბები. მიმქრალი სუ-  
ლის ადსარება. — დ. კასრაძისა. ბალგანეთის თმი  
და საერთაშორისო განწყობილება. — მეომარისა.  
მანგლისის წყრ. კრ. — სემიტისა. ბიბლიოგრაფია.  
ჩვენი ფოსტა.

## ლ ა ჩ ი ს \*)

ხან მეფე ხარ სვე-მლვიძარე, ქედს გიხრიან ქვეყნის მპყრობელს,  
ხან ვიო ნაძვი ტბის ნაპირას ლვრი ცრემლებსა შეუშრობელს.

ხან მკვეთრ ისრით დაკოდილი, სულ არა გრძნობ წყლულთა ტკენას,  
სულის სწრაფვას ჰანგათ აკმევ, იორკეცებ აღმაფრენას.

ხან ოცნებით კის სივრცეში ნიავ-ტალლად დასრიალობ,  
ლრმა კაეშნით მოხიბლული სამსხვერპლოზე კვნესით ჰგალობ.

შენ ჩანგი ხარ... და ეგ თმები, ეგ ქაღარა თვითეული —  
ხალხის გულის სიმებია, ხალხის სუნთქვით დარხეული...

და მეც ხალხის აღმაფრენამ შენთან მგოსნად ამომტყორცნა  
მსურს მოგიძლვნა, როგორც მამას, მხოლოდ კოცნა, წრფელი კოცნა,

გ. თბილისი 10 თებერვალი 1913 წ.

ი. გრიშაშვილი.

\*) დ. მესხიშვილის იუბილეაზე წაკითხული დექსი

# პინა მრეწველობის აგონია ჩვენში \*)



IV.

## მიზეზი მრეწველობის განადგურებისა.

ეფუძნები ერთობის უფლება სახელმწიფო მარტინი მეტად მეტად განვითარებულია. კაბიტალისტები წეს-წერილება იმ საძირკველად გადაჭრეულა, რომელზედაც სახელმწიფო მთელ იავის სამომავლო საქმეს აგვირგვინებს. რამდენადაც ამ მხრივ განვითარებულია სახელმწიფო, იმდენადაც ის ძლიერია სოციალ-პოლიტიკური, ფინანსურული და უოგელის მხრივ. ასე რომ კაბიტალიზმი ჩამორჩენილ ქვეყნების ურთისარი მხსნელი მანანა, ის აუცილებელი საფეხურია უძაღლეს ეპინომაურ ფორმაციის შესაქმნელად. დღევანდელ პირობებში კაბიტალიზმის განვითარებულობა მთელ ერთგულ ცხოვრების სამორჩენა და ამიტომ ამ ჩამორჩენის მოსპობა აუცილებელი საქმეა.

არ იფაქტოთ, რომ ეს კაბიტალიზმი რაღაც ჯადოქარი ან ზეციდან ჩამოვარდნილი რამე მძღვანელობა-მძღვანელია იყოს. არა, კაბიტალიზმი მწარმოებელ ძალთა და საწარმოებრ საშუალებათა განვითარების ერთიანი გამოხატულება, გამოხატულება, რომელიც ტეხნიკისა და სელოუჩების განვითარებას მთასწავებს მუშის ბუნებრივ ჭაპან-წევეტაზე.

ჩადნი სიძირილეს სატერიტო მუნიციპალიტეტები; მაგრამ საწარმოებრ საშუალებანი მაშინ უოვლად უსუსეური იყო, შემდეგ მწარმოებელი ძალა თან და თან განვითარდა, საწარმოებრ პირობები გაუმჯობესდა, შეიცვალა და ადამიანის შირავობას ჩაგდებით ფასი და შინგელობა მიეცა. ტეხნიკის საშუალებით ათასჯერ მეტი ჭონების შეძენა იქმნა შესაძლებელი, ვადრე წინად შეძლებულოდა, კ. ი. მწარმოებელი ძალა წინ წავიდა...

ასეთი განვითარება მწარმოებელ ძალის უფლება საზოგადოებაში სწარმოებს, თუ ცხოვრებას არა-ჩვეულებრივი გარეშე პირობები არ აფერხებს. ეპილიტე მეტად ამ მხრივ უკრთხაში განვითარდა ინგლისი თავისი შოტლანდია-უელსით. იქ კაბიტალიზმი წარმოედგნელ სისწავით გაემურა ახალ პირობებისაკენ და ადამ სმიტის დროს, მე XVII საუკუნის შიწურულში, უკვე შესანიშნავ სანახის განვითარებაში მთელი შემთხვევაში მიმდინარეობდა. ამ განვითარების მიზანი არ იყო მარტინი მეტად განვითარება არ არის წერილი...

ინგლისის შემდეგ, კაბიტალიზმი დადათ წავიდა

წინ საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, და უნგრეთში, ამერიკაში და რუსეთშიც დადი ნაბიჭი გადადგა ამ მხრივ ბოლო სანებში ავსტრია, ავსტრია და აზიას უკედა დესპოტიური სახელმწიფოშიც მოდიან მოძრაობაში.

ჩვენ შევვ უდიარეთ, რომ კაბიტალიზმის ანგითარებს მწარმოებელთა შრომის გაძლიერება, საწარმოებრ ბირთვების თანდათანი გაუმჯობესება. ისტორიადან და თვით სისამდგომის დღწერიდან ჩვენ გიცით, რომ საქართველოში მრეწველობის ჩატურულ ხასაში ქართველ ხალხშიც მთქმდებდნენ ეს მწარმოებელი, ჩვენ ხალხსაც ჭითნდა საწარმოებრ სამუალებანი. ასე რომ წარსულში ჩვენ უფლები ის ხადაგი და ბირთვები გაქმნდა, რომლის წადიდან, ან უბეთ, რომელთა განვითარებას შემდეგში უნდა შეგმება ერთობლივ განვითარებულისტურ-ხელოვნური მრეწველობა-აღებ-მიცემდა.

### მაგრამ სინამდვივე?

მინა მრეწველობა (რომელიც პირველი საფეხურია) რაიც მწარმოებელთა ძალების განვითარებათ უნდა იქმნოს დანგრეული, უბან-სკნელ სულ; დაფაგს, ქრება და იღუპება, მასი შერჩენა არც საჭიროა და არც სასარგებლო. მაგრამ მინა-მრეწველობის დანგრევა მაინცა და მაინც არ უნდა იუვეს მიზნად დასხელდი, რადგან მისი მოადგილე კაბიტალიზმი გამგითარებულია არ არის წერილი.

შინა მრეწველობის უფლება ტრიბუტის დანგრევა იმ შემთხვევაშია ფრიად სიმპრომატიური და მაჩვენებელი მხარეში, როგორც მწარმოებელ ძალთა განვითარების, ისე საწარმოებრ ბართმათა გაუმჯობესებასა, როცა წარმოების ელემენტებით, უბრალო ფორმა უმსაღლეს, უმჯობეს ფორმაში გადადის, როდესაც ძალა იარაღდება არა მარტო უბრალო გამოცდილებით, არამედ ტეხნიკურ საშუალებებითაც: თრთქმით, ელექტრონით, გაზით და სხვა და სხვ სამდროებრ ძაღლით; როცა შრომის განვილება უმწვერესად უითარდება და აქედან შენდების საგანგებო ქარხება, ფაბრიკები...

საქართველოს ცხოვრებაში კი მინა-მრეწველობის და განვითარებულ მწარმოებელ ძალთა დაჭმულება ასეთ უმჯობეს-უსხლეს ეპონიურ ცხოვრების ფორმას

\*) იხ. „კლდე“ № 8, 9 და 10.

როდი წარმოგვიდების; ჩვენში — მთელ საქართველოში — კურ დასახულებით ერთ ფასიანია, სადაც ტანას ან ნათს ქეთევდნენ — ამ ხადების კურ დასახულებით სამრეწველო დაწესებულებას, სადაც მალი, მუდის და სხვა მრავალ სახმარებელ ნივთს კაპიტალისტურ წესებითა ქმნიდეს, რომ ჩვენი ხალხი ქველ საწარმოებ ასაკების გამოსითხოვებოდეს და ახალ უმჯობეს პირდებიში სწორობის თავის ქნერგიას ასე რომ ჩვენ ისულებულია კართ ფალიართ: საქართველოს ხამდვიდ ცხოვრებაში კაპიტალისტური წარმოება, კაპიტალისტური მრეწველობა სრულებით განუვითარებულია და თუ ჩვენი ხალხი იმოსება კაპიტალისტურ მრეწველობის ნაყოფით, სულ ახალხარ საქარებით, ეს საქონელი უცხოეთის ძალას მშვიდის — რუსებს, ევროპას და ამერიკასაც კი.

საქორთვ მიგდანია ჩვენი აზრი უფრო დავადგოთ, უფრო დაწინიდებით მევებრი ჩვენს ცხოვრებას.

მეოთხმოცდათე წლებში ჩვენში, უმთაკრესად „კვადა“-ს შეძლიარისტები, როგორც მაგ. ხ. ჭორდანია, ვაბლაძე, მახარაძე და სიხვიძი აღიარებდნენ, რომ საქართველოში კაპიტალისტური წეს-წევადიდება ვითარდება, ჩვენი ცხოვრება კვრთვილ ცხოვრების სახეს იდებს, საზოგადოება აქაც ისე დას-დასთამით (კლასებად) იწყობა, როგორც უფრობაში, აქაც ვითარდება კულტურა და სხ. „კვადისტები“-ს ეს დებულება მამინ ბევრმა არ გაინარჩუნა. „იმედი“-ს „ტეტიათა“ მოტროდიალენი, „მომბე“-ს ზოგიერთი თანამმრომელი და „იმერიელები“ არ ეთანხმებოდნენ დასელ-კვადისტებია კანცეპტიას. მაგრამ მას აქვთ ბევრმა წევალმა ჩაიარა, იური რამ გამოირკვა, გაშემდება და ამ კრთხვით განვითარების შედეგად ჩვენ უნდა და კადრიროთ, რომ რამდენიმე სცდებოდნენ კაპიტალიზმის ურისმეობებია და აქარიებდნენ: გრეთვე მარქისტები. უპასახენები, აღზრდილი „კაპიტალი“-ს მოძღვრებაზე და ეპონიმიურ ცხოვრების ვანვითარების უფროსა კრისიარიანის შემცნებაზე \*) — უფრო ასტრაქტულ შეფელთბოდნენ, რადგან ცხოვრება, არ იყო სათხავოთ კმარისულად შესწავლილი, ხოლო ჩვენი სამდგრავი ცხოვრების სახე და მასი მსვლელობა მათ გრძების, თეორიიდან გამოწეულდათ. ჩვენ ძღიურ კარგად გვასხვის მაგ. ის ლროის მასარაძის ფაქტიურ მასალებით შემუშავებული მსოფლშეხედულობაზი ქალაქების ზრდაზე, მცხოვრებთა მაძრალია-კანცეტრაციაზე და სხ. მაგრამ ეს გარეულერი ამტკიცებს. საქმე იმაში არის, რომ

საქართველოს ცხოვრებას შესამორე წლებითან კახეთი-კური დაიდი წახ მსვლელობა დაეტეო როგორც საზოგადო გუდოურის, ისე ეკონომისის დარგში, კადაქების ზრდა-განვითარებაში. მაგრამ გხახოთ სასტოლისტური განვითარებით.

რუსების მემოსვლა და გაბატისტები ჩვენში მთასწავებდა რუსების კაპიტალისათვის ახალ ასაკების გახსნას, ბაზრის კაფართოვებას, საქონელის გასაღების ახალ სამუშავების. და დღესაც ხომ რუსების საქონელი განსაკუთრებითა გაბატონებული ჩვენში. მაგრამ ამავე დროს ჩვენში მარტი საქონელის სახით კი არა, ხალდეულითაც დიდ ძალი ფული შემოვიდა მრეწველობის გასახენად და ახალ ზედ მეტ სიძღვიდრის შესაქმნელად. მთელი გავეკის და განსაკუთრებით საქართველო რუსთაბისათვის ამ მხრივ უნად საინტერესო იყო, რადგანაც ჩვენში შესაძლებელი იყო ისეთ სამრეწველო დარგების შექმნა, რომელიც უცხოების განსაკუთრებით მეტ სიძღვიდრეს მისცემდა და რას სამუშავების თვით რუსებიში თითქმის არ ჰქონდათ. ჩვენ კვეულის ხმაში მთავადილების მინერალურ სიძღვიდრეს. სპილენძი, ქვანახშირი, ფისი, ჩავთა და სხ. ასეთები ხმა უტევური წეარდები იყო. და ა სწორებ ამ სამთა-მაღნო საქმეს, რომელიც, კადებები გამეორებთ, რუსების არ იყო, კრიასად დაეწავის რუსების და საზღვარ-გარეთელი გაბირებისტები.

უეჭველია, რომ ამ დარგშიაც საქმის განარჩევა დაღმიშვნელოვანი და სახეობო იყო ხალხისათვის. ეს გარემოება აცხოველებდა სოფელს, ანგითარებდა მწარმოებელ მაღაზებს, ზრდიდა ქალაქებს, თავს უკრიდა ხალხს, კემნიდა სამრეწველო ცენტრებს თავის ტანდენიულითა... და ა ცხოვრების გივილ-ხივილმა, რასაც მოჯევა რკინის გზის გაცხოველება, ფისტა-ტელეგრაფების გაშენება და სხ. პირდაპირ დაბრმავეს, უპერ გამტაცეს ისინი, რომელიც მრეწველობის განვითარებას ხესხავდნენ. მაგრამ ნამდგილად განა ეს ნიშნავდა ჩვენი ქვეუნის სამრეწველო ს განვითარების, ფაბრიკა-ქარხების გახსნას. საწარმოებ შირდების გაშდას, გაიგართოვებას? სრულიადაც არა, რადგანაც მისა-მრეწველობის მრავალი დარგი, რომელიც ცხოვრობდა ჩვენი ხალხი, რასაც ანგითარებდა ჩვენი კრის, ისე განადგურდა, რომ თავის ასტებობიდან და განვითარებიდან ერთი რამე საფამრიკო დაწესებულებიც გარ შექმნა, ჩვენი მრეწველობიდან, კრია დარგიც კერ განვითარებიდან და გერა ადგრძინდა, გელა შეიარაღდა ახალ ცხოვრების ძალებით.

ცხოვრების განუგიარებულობის ეს მხარე კი ჩვენს მკვდევარო აღდო აურომეველი დარჩათ, ის, რაც დავისხეთ სამთა მრეწველობის დარგში, თავზე მთახვის

\*) ლეტურმინისტური, ლიალექტიურ-მატერიალისტური შეხელულება ცხოვრებაზე — რაიცა ჩვენი მარქსისტების მრჩამს შეაღენდა, — ასეთ შეხედულებაში გადამტრედ ძალად ხდებოდა. — 830.

მთელ ცხოვრებას და ამ რიგად გააზიადეს გადამეტება— იმედიანი (უღრუა-ოპტიმისტური) შესერულობაზი ჩვენი ცხოვრების აწმეთსა და მომავალზე.

შემდეგში შეუძლებელი იყო მთელი ცხოვრების ნა- მდგრადი სახე უფრო მარტივად ან წარსდგომთვის ხადხს. შეთვალეურუნი იძულებული გახდებოდნენ, თავიანთ ამტო- მიზმისათვის რამდენადმე ფრთხი შეეჭრათ და მართდა, შემდეგს ჩვენ შექრდობა— განსაკუთრებით არჩილ ჯორჯაძესა და ხოვ ქორდანის შთრის, საინტერესო აზრო დაბირისმირება მოხდა, რაიცა ჩვენი საჭიროს გა- სარკვევად საინტერესო მასალად გამოგვადგება.

### თევდ. ლლონტი.

— — — — —

## მეცნიერული სიბეჭე თუ ქარლაზნობა?

(ნ. სპილიოტის წერილის გამო)

მართლაც, ცხონებულ ილიას სიტყვისა არ იყოს, ჩვენისთან „ბეღნიერი ერი“ მთელს დედამი- წის ზურგზე ერთიც არ უნდა მოიპოვებოდეს. ვინ გნებავთ, ბ—ნო ჩემო, რომ ჩვენს აბუჩად აგდებას და ეროვნულ თავმოყვარეობის შელიახვის არა სკლი- ლობდეს! აქ დოლი არის გამართული: ფეხიანი თუ უფეხო, მტერი თუ მოყვირე ყიზილბაშურიდ გად- მომდგარან და წინასწარ განზრახვით შედგენილ რუ- ქითა თუ კომპასის ისრით ჩვენს გარშემო გააქვთ გავნაში და ჩხავილი. ოღონდ ისე კი, რომ თვი- თეულმა გაჯირითების დროს ჩვენ თავში ჩაგვკრან, გაგვსრისონ, იკინონ ჩვენს უკულმართ ბედის ტრი- ალზე. ჩვენ კი, ჩვენ, ეს პატივაყრილი ქართვე- ლობა, იმავე ილიას თქმისა არ იყოს, „თითქოს მართლა ვისთანმე პირშავნი ვყოფილიყვავით“, ხმის იმოღებას ვერა ვძედავთ, ერთ-ურთს ვაჩუმებთ: სსუო! არავინ გაგვიგონოს, თორემ იფიქრებენ, რომ შენ ქართველობაზე სდებ თავსა, ქართველობა ხომ „ზოოლოგიური პატრიოტობაა“, ჩამორჩენილ ადა- მიანად ჩაგვთვლიან, „ზუბრებიდ“, რომელთაც სა- ერთა შორისო სოლიდარობის დროშასთან არავითა- რი კავშირი არა აქვთ, და სხვა და სხვა.

თუ ეს ასე არ არის, მაშ რითი უნდა აისწავა, რომ ასე იდვილად ვიტანო ყოველისუერს: მამული

მიღის ხელიდან, ენა არა თუ სასწავლებულებიდან და დაწესებულებათაგან, არამედ ჩვენიებიდან იღევნება, წარსული არ არსებობს; სამეცნიერო მისი გახსენება, ან და რა დროის აკადემიურ დალა- ლის „შესმენაა, როდესაც მოელი ჩვენი ისტორია ზღაპარია, მითია, ლოკუმენტები ვიღაც უსაქმო კორიკანა ბერ-ხუცესობის შედგენილია; მითია წმ. ნინო, მითია თამარი... ქართველი მხოლოდ მაშინ არის მეცნიერი, თუ რომ ის კათედრიდან გადმო- დგება და მთელს ჩვენს წარსულს მოლიდ უარ- ჰყოფს. სომხითელობა, აი რა! ან არა და რაც გინდა დაარქვი შენს თავს, იყვა ბუშმენი, ყორ- ლიზი, ოღონდ ქართველი კი ნუ! მაგრამ რომელი ერთი ჩამოვთვალო? კეშმარიტად, რომ მხოლოდ ანომალიით შეიძლება ამ გვარი მოვლენის ახსნა; თორემ სხვაფრივ ყოვლად შეუძლებელია. შეუძლე- ბელიით თუნდა იძიტომ, რომ ილიას დიდებულ დაკრძალვის შემდგომ, ერი, რომელმაც ნეფური დღესასწაული გადაუხადა უკავის, მეორე დღესვე ხაჩატურიანცთა და მის დამქაშთა დასაცინი საგანი ხდება! ჩვენ ვიყავით ამისი ისტორიული მოწმენი და დარბაისლურადა ვსდემდით, რა თქმა უნდა, „ზოოლოგიური პატრიოტობის“ შიშით. ასეთივე ისტორიული მოწმენი ვიყავით ყოვლად გათახსირე- ბულ ვიღაც შარლატან ლექტორ გრინის ლექტი- ბისა, რომელსაც ნაციონალურ მოძრაობის მაგიერ, რომ თავხელი „პროფესორი“ საბრალმდებლო სკამზე დაგვესვა, სერიოზული სახე მივეცით მის ლექტი- ბის და პატივცემულ ისტორიკოს მ. ჯანა- შვილს მივანდეთ პასუხის მიცემა „ნოვოგ ობო- ზრენის“ ფურცლებზე \*).

მაგრამ შორს ნუ მივდივართ. გრინის კომ- პასს მთელს ლეგიონთა ხელში ნახავთ, თუნდა იგერ გუშინაც დავინახეთ ვიღაც სპილიოტის ხელ- ში, რომელიც უურნალ „ქავკავსკая შკოლა“-ს ფურცლებზე გადმომდგარა. ნახეთ, ბ—ნებო, წაი- კითხეთ. შეუძლებელია, აქ არ დაინახოთ ახალი

\*) 1894 წ. გრინმა თბილისის სათავად აზნაურო ბან- კის დარბაზში წაიკითხა ლექტი- ა „შეიხა ცარი თამა- რი“ რომელიც დაიბეჭდა იმავე წლის „ქავკავ.“-ის 191 და 192 ნომრებში. ეს, „ლექტი- ბი“ იმით იყო „საკურად- დებო“, რომ ისტორიული მიმოხილვა შეხერავადისა და ათა-ერთი ღანის სერენის მიმართ მოპარება, ტალახში ამოსვარა თამარ დედოფლის პირვენება და ჩვენ კი მას ნება მივეცით, რომ დაუსჯელად წამარჯებულიყო ზემოდ ხსენებულ ისტო- რიკოს ჯანაშვილმა თავის პოლემიკით მას შეაძლებინა თავი გამოედო, რომ თვისი მისია ასე ჩინებულად შეასრულა.

შარლატნობა, ახალი არამზადობა ან არა და მეცნიერული სიბეჭყ. ადამიანი, რომელმაც ჩვენი წარსულისა არა იცის რა, ჩვენს ისტორიას, უკედ ჩვენს status praisens-ს ეხება და ამერიკის ამერიკაზე ოღმოაჩენს! საოცარია, ყოველი მოხელე რომ იქ „გისტორიკოსდება“ ხოლო, მაგრამ არა ნაკლებ საოცარია, რომ თვითოველ ასეთ „ისტორიკოსი“. პირველი სიტყვა ჩვენის შეურაცხვოფით იწყება! მაგრამ შევეხოთ გაკვრით მის დებულებათ, ვინაიდან სერიოზული კამათი მასთან მხოლოდ საბრალმდებელი სკამზე უნდა მოხდეს, თუ რომ მართლა ქართველები ვართ. დავყველ თავიდან:

ბ—ნა სპილიოტიმ ჩვენი status praisens-ი დაახასიათო როგორც „პირვანდელ წყვდიადის შემცნება“. უნდა შევნიშნოთ, რომ დღევანდელ სკოლების უქონლობა „ამ პირვანდელ წყვდიადის“ მიხეტაც გამოწვეული: თუ რამ ფიზიკური სინათლე საოცარის სისწრაფით ედება მთელს პვეუნიერბას, სამავიეროდ გონიერივ მოძრაობის ნათელი მეტის მეტად მძიმედ მიღისო“, — ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს ჩვენი სამშობლო. მართალია, მან უწყის, რომ „ასის წლის წინად, ესე-იგი, შეერთებამდე, ქართველებს „ჰქონდათ დაბალი და საშუალო სასწავლებლები, თვით უნივერსიტეტებიც კი“ — მარტო ეს ფაქტიც პირვანდელ ისტორიკოსისთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო რომ „პირვანდელ წყვდიადის“ მეუფება შეუძლებელი იქნებოდა, — მაგრამ შილიოტის ქამან ური რეპლიკებიც სწორედ იმიტომ არის ჩართული, რომ ამ სასწავლებელთა მნიშვნელობა დამციროს და მკითხველთა შორის თვის დებულებას ბაზარი მუშაოვოს: პო, იყო სასწავლებლები თუმცა „, ჩემითი გიჩილენია“, ჰქონდათ უნივერსიტეტები, თუმცა „, ჩემითი გი“. თავის ქება არაფრად პლიტო, ამბობენ, მაგრამ როდესაც გაიძულებენ ისევ „, თქმა სჯობს არა თქმასა“ . იმ ხანაში, რომელსაც ბ—ნი სპილიოტი იღებს, ვგონებ, რუსეთის სასწავლებლები ვერ გაუსწობდნენ ჩვენსას. [უმნიშვნელო იყო თუ არა, ჩვენმა სასწავლებლებში შეინახეს და გადმოვცეს სამშობლო ენა: ტრადიციები! „პირვანდელ წყვდიადის მეუფება“, შეუძლებელი იყო იმ პვეუნაში, რომლის სკოლები იძლეოდნენ დავით გურამიშვილებს, ბესიკებს, ალექსანდრე ჭავჭავაძეებს, გრიგოლ ორბელიანებს და სხვათა; პირვანდელ წყვდიადის მეუფება შეუძლებელი იყო იმ პვეუნაში, რომლის სკოლები ზრდიდნენ საუკეთესო მეტყველთ, მქადაგებელთ, ვინც მოგვცა ანტონ კათოლიკზი,

დიდებული მეცნიერ-გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი, რომელმაც თვით რუსთა-მეცნიერების შინ-სკოლას არა ნაკლებ შეუწყო ხელი, ვიდრე თვით რუსებშია; „პირვანდელ წყვდიადის შემსრულებელი უერუძლებელი იყო იმ პვეუნაში. ვინც შესძლო სულმნათ გაბრიელ ეპისკოპოზის წარმოშობა, რომლის ქადაგებანი ეხლაც ანცვიფრებენ ადამიანს თავიანთ უძირო ზღვა ფილოსოფიური მსოფლ-მხედველობით და რომლის შედგენილი ლოდიკა, თუ არა ვცდები, პირველი სახელმძღვანელო იყო მთელს რუსეთის იმპერიაში დასასრულს „პირვანდელი წყვდიადის მეუფება“ შეუძლებელი იყო იმ პვეუნაში, სადაც გატაცებით სწავლობდნენ რიტორიკოს, ფილოსოფიის, ლვთისმეტყველებას, გრამატიკას, გეოგრაფიის და სხვას, რომლის ზედგავლენის ნაშთებს ეხლავ კი ნახავთ. არა გჯერათ? გაისაჯეთ, ბატონებო, ერთხელ ჩამოიარეთ ძველი ოჯახები. თქვენ ნახავთ ისევ ძველ ხელ-ნაწერ კარაბადინებს, რომელნიც დიპლომიან ექიმებზე მეტს სამსახურს უწევენ მათ; გაისაჯეთ და შეიხედეთ თუნდა თბილისის პატარა ღუქან-მაღაზიებში, თქვენ ნახავთ დავთრებს (თვით სომებ ვაჭართა ხელშიაც კი) ისევ ქართული ნაწერს; გაისაჯეთ და ნახეთ სოფლებში, მოსაზღვრე მეზობელი ერებიც კი (როგორც მაგ. ოსები) ისევ ჩვენს წონას ხმარობენ (ლიტრა, კოდი, ადლი და სხვა), ჩვენი თვლა... მაგრამ რა საჭიროა ჩამოთვალი? ეს ისევ ძველი „პირვანდელ წყვდიადით“ მოცულ სამეცნიეროს ნაშთები გახლავთ და არა „ახალი სიტყვა“ ახლად შემოტანილი სინათლისა, რომელიც რუსულ ფარიზის მთრეველი გლეხ-კაცობისაგან უნდა მოითხოვოთ, რომელთაც აღარც რუსული იციან, არც ქართული „შენში ან სოვისტი არ არის ან სვინდისიო“, გეუბნებიან! მაშ სად არის ისტორიული სინაშვილის მარცვალი, რომელზედაც ბ—ნი სპილიოტი ემყარება?

ერთად ერთი დიდი არგუმენტი, რომლითაც ხელმძღვანელობს ბ—ნი სპილიოტი, გახლავთ პაველ დიმიტრის ციციანოვის (და არა პავლე დიმიტრის ან ციციანოვის) ავტორიტეტობა, რომელიც ერთი „საუკეთესო შვილი იყო საქართველოსი-“ მ (ნეტავი რა მხრით?). რომ უფრო პოპულარული პყოს პაველ დიმიტრის სახელი, სპილიოტი თაშიმად აღასტურებს, რომ თვითონ ციციანოვი „ქართველთა სისხლის ნათებობას უარს არ ჰყოფდა, თუმცა ამტკიცებდა, რომ სული რუსული მიდგინაო“, მართლაც ეს უკანასკნელი ფრაზა პაველ დიმიტრის ყოველ-დღიური წაყვარელი ფრაზა

იყო, რომლითაც ამ რიგად მოსწონდა თავი. ცხადია, რომ ასეთს ადამიანის ავტორიტეტობა ან შეცნიერული სიბეცე უნდა იყოს, ან და შარლატნობა, სხვაფრივ შეუძლებელია! ადამიანი, რომელიც თვის თავს შეურაცხოფილიდ სავლიდა, რომ ის ქართველად დაბადებულია. ადამიანი, რომელსაც ქართულად დალაპარაკება ეჯავრებოდა და დღესაც ისტორიულ გამოკანას შეადგენს, იცოდა მან ქართული ენა თუ არა? \*) აი ეს ადამიანი მის თვალში ივტორიტეტია! არა, ბ-ნმა სპილიოტიმაც კარგად იცის, რომ შეცნიერება მზგავსს ავტორიტეტებს არა თუ სკეპტიკურად უყურებს, სავსებითაც უარპყოფს. ეს იცის ბ-ნმა სპილიოტიმ, იცის, მაგრამ რატომ-ლაც მისი ივტორიტეტობა დასკირდა, მას უფრო უჯერებს, ვიდრე ანტონ კათოლიკოზის, რომლის გაძევებას საქართველოს სახლკრებიდან არა ნაკლები ნიადაგი მოუწიადა თვით ჩვენმა „თავგანწირულმა მაშლიშვილმა“, ხსენებულმა პაველ დიმიტრიჩა. მაგრამ აი სპილიოტის ერულიცი ფაქტების ანალიზის დროს:

„ჯერ კიდევ კნოტონგი, რომელიც თავ. ცოკიანვამდე კავკასიის მთავარ შართებლიდ იყო დანიშნული (1801 წ.) კათოლიკოზის ანტონს შეეკითხა: სასულიერო წოდებისთვის გაქვთ თუ არა ეპარქიებში სასწავლებლები, და თუ გაქვთ, სადა, რას ასწავლიან, ანუ ვისი ხარჯით\*. კათოლიკოზმა ამაზედ უპასუხა: „ქართლისა და კახეთის ყოველ გვარქიაში ბავშვებს ასწავლიან წერა-კითხვასა და გალობას; მოწაფეებს მშობლები ინახავენ. ნეტარ ხსენებულ ირაკლი II ის დროს კი თბილისში და თელავში გვქონდა სემინარიები, სადაც ასწავლიდნენ გრამატიკას, რეტორიკას, ფილოსოფიას და ლიტერატურულებას, ხარჯს სულ თვითონ ჩეფე იღებდა“ (აქ. 1, 531). პასუხი მეტად სამწუხაროა, — განაგრძობს ბ-ნი სპილიოტი, — რომელიც უფრო სამწუხაროდ გვეჩვენება, თუ რომ ინალიზს მოვახდენთ და დავხედავთ, თუ რა იმაღლება ბანზე აგდებულ სიტყვების იქით“, შემდეგ ამაყად ამბობს: „რა თქმაუნდა, სემინარია ჰქონდათ, როდესდაც... Fuit quondam Troja!.. და სხვა.

რომ მართლა, „სამწუხარო პასუხი“ გასცა კათოლიკოზმა, აქ მართალია ბ-ნი სპილიოტი: სამწუხაროა ჩვენთვის, რომ აყვავებული სასწავლე-

ბელნი გამოგვეცალნენ ხელიდან, მხულოდ არა ნაკლებ სამწუხაროა სპილიოტისათვის „ქართული კართველისთვის“, რადგან ყირაზე აკენებს მათს ლვარძლიან დებულებას „პირვენდელი მუცეფიადის“ შესახებ. ამ დიდმნიშვნელოვან პასუხის გასაბათო ლებლიად სპილიოტი სკულილობს, შორეულ წარსულ ხანაში გადაიტანოს იგი „ტროიის არსებობისა“, თუმცა მან იცის, რომ მეცე ერევლე ის შორის არა სდგის აღებულ გვოქიდან. და... მამაა, ლვიძლი მამა კათოლიკოზ ანტონისა. ნუ თუ მეცე ერევლე ხანა არ გახლავთ ის უდელტეხილი, როდესაც „გადასწყდა ბედი ქართლისა“ და ჩრდილოელთა სუვერენიტეტობის ქვეშ შევარა თავი: ან და რა საკადრისია შეცნიერ ადამიანისთვის ვოსტორგოვისთანა აკრობატობის აუკლება და კულგარულ ფრაზის განმეორება: „ირავა ეთი ბილი მრა ცარს ირაკაი II, ა უც უც ცარს გორიხს“, რას ნიშნავს ასეთი შეურაცხოფა, ასეთი უსინიდოს ქანანდები, ასეთი თავის აგდება?..

\* ბ-ნი სპილიოტი თავის პილოტობას არ იშლის საუცხოვო სიბეცის სისტემის აშენებულ პარტოპლანით და „პირვენდელ წყვდიადის მეუფების“ დასახასიათებლიად ერთხელ კიდევ ემყარება პაკელ დომიტრის ციციანოვის მოხსენებაზე, რომ ქართველ თავად-აზნაურობის უმეტეს ნაწილში სამშობლო ენაც კი არ იცის ხეირიანად... ქართულ ეკლესიებში გალობა თხების კიკინს წარმოადგენს... ქართველებს არც ერთი სტამბა არ ჰქონიათ“... და სხვა და სხვა. თუ რამ შეაფერხა სწილი განათლების საქმე ჩვენში, რა იყო მიზეზი, ამას, სპილიოტის აზრით, status praesens-ისთვის არაეითარი მნიშვნელობა არა აქვს (ეს, ვვონებ, რომ პილოტთა ახალი მეთოდი უნდა იყოს და არა ისტორიკოსების!) მაგრამ დავთანხმდეთ და ნუ მივიღებთ მხედველობაში იმ ანორმალურს მდგომარეობას, რომელშიაც საქართველო ჩააყენა გარეშემოსეუმლა მიზეზებმა. პირველი რწმუნება, რომ ჩვენმა თავად-აზიაურთა უმეტეს ნაწილში ქართულად არა თუ წერა-კითხვა, ლაპარაკიც კი არ იცოდათ, ეს სიცრუეა, რადგან თვით პაველ დიმიტრის ძეს ლრმა ცოდნა ქართული ენისა პრობლემად არის დარჩენილი, შეორეც, თუნდაც მართალი იყოს, ეს კიდევ არა ნიშნავს, რომ „წყვდიადის სრული მეუფება“ ყოფილიყო! იმ დროს ჩვენზე არა თუ ჩვენი მოკავშირე რუსები, არამედ დიდ განათლებულ სახელმწიფოთა წარმომადგენელნიც კი კოკლობდნენ. ენის კარგა ცოდნაში. ამით ისტორია არავინ და-

\*) ი. სტატორის ძირითადი მასალები ამ საკითხის შესახებ აღ. ფრონტის ისტორიულ საუცხოვო კვლევაში „მთიულეთი“.

უმარხია, როგორც არა მარხავენ თვით პეტ-  
რე დიდს, განმანათლებელს, რომელმაც რუ-  
სელი გრამატიკის უკოდინარობით ანგკლოტე-  
ბის გავრცელებას შეუწყო ჩელი მთელს რუ-  
სეთში. რაც ზეეხება ჩვენს საეკლესიო გალობას,  
ენლაც იმავე მდგომარეობაშია ჯერ ჩვენ არც ბორ-  
ტნიანსკები გვყვანან, არც ჩიკოვსკები, რომ გაემ-  
შვენიერებინათ. ვგონებ ჩვენი სადა გალობა უფრო  
სასოებაზე მოიყვანს თვით ურჩმუნოსაც კი, ვიდრე  
იტალიანური ჰარმონიით შეზავებული სლივიანური  
გალობა! უკანასკნელი ფაქტი, რომ ჩვენ სტამბა  
არა გვქონია, ეს ისევ მეცნიერული სიბრძავეა: ქა-  
რთველ ერს ორი თუ სამი სტამბა ჰქონდა უკვე  
მე-17 საუკუნიდან! აღა-შამად-ხანის ბარბაროსამა ხე-  
ლმა შექმუსრა იგი და აი, ამ ნანგრევებზე შეჩერდ-  
ბული ვიყავით, როდესაც ერეკლემ თვალი მიაპყრო  
ჩრდილოეთის არწივის მფარველობის ქვეშ შეხიზნე-  
ბასა ნუთუ ეს ფაქტი სიგულისხმო არ უნდა იყოს?  
ნუთუ ეს ნიშანია „პირვანდელ წყვდიადის მეუფე-  
ბისა?“ მაში როგორ ავსნათ სპილიოტის გამოსვლა,  
თუ არა მეცნიერული სიბეცით, ანუ „მარლატნობით?  
რამ გამოიწევია მისი „ისტორიკოსობა“ რომ დიო-  
გენის ფარნით დაპირისულობს ჩვენს წიარსულში,  
ობიექტივობით მოაქვს თავი და საშინელ ტენდენ-  
ციებით სთხიავს იმას, რაც არ ყოფილი და რაც  
ყოფილი, იმას ხელს აფარებს ეგ რომ მართლა პა-  
ტიოსანი შკვლევარი ყოფილიყო, დაინახავდა, რომ  
ჩვენი „ჩამორჩენა“, თუ კი ვისმე ჩამოვრჩით \*),  
ასხსნება ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობით. აი,  
ამ შხრით რომ შეეხედნა, დინაზავრა თავის კოლე-  
გის (რედაქტირის შხრით) ბ-ნ ხ. სამუელის შეხედუ-  
ლობის სინამდვილეს, რომელიც კავკასიის მასსიურ  
გაუნათლებლობას ამ პოლიტიკურ მდგომარეობით  
ჰქონის, იმავე „კავკასია შკოუ“-ს ფურცლებ-  
ზე, სადაც თვითონ იღებს მონაწილეობას. შეგრძე-  
ლი მისი სიტყვებით: „სამწუხაროდ, ადგილობრივ  
მმართველებს ყოველთვის არ ესმოდათ თავიანთი  
კულტურული მისია. უკანასკნელ დრომდე, თვით  
გრაფ ვორონცოვ-დაშვილის მთავარ მართებლობაშ-  
დე შეკოლებს და ხალხოსნურ განათლებას უყურებ-  
დნენ არა როგორც გონიერი და სწეობრივი  
თვალსაზრისის ასამაღლებელს, არამედ პოლიციუ-

\* ) ქართველებს არაფერი დაეცვედრებათ. რამდენადაც  
შესაძლებელი იყო მიეღოთ უმაღლესი სწავლა განათლება  
კიდეც მიიღეს და სამავიეროს უხდიან ისეთი სასიქადულო  
პროფესორებით, როგორიც არიან თარხნიშვილი, პეტრია-  
შვილი, საგარელი, მელიქიშვილი, ხაშანაშვილი და სხ.

რი თვალსაზრისით, სადაც სასწავლებლები გია-  
რუსებელ იარაღად გამოიყენეს: და სხვა /იხ. კა-  
ვკასია შკოლა № 1, 8 ცტ. ვა 1913 წ. /

მაგრამ ვიდრე წერტილს დავსვამდეტე ცო-  
ქრისაც გაგახსენებთ: იმავე სტატიაში უკავშირო-  
ტი კალნიერდება და წმ. ნინოს ლეგენდარულ პი-  
როვნებადა სთვლის. ნეტაფი ვიცოდე, რომელი იუ-  
რიდიული უფლებით? იცის, რომ თეოზმს არ აქა-  
დაგებინებენ სასწავლებელში, თუნდა მეცნიერული  
იმტკიცებულის? თუ რომ ეურნალი სკოლის საკითხებს  
არკვევს მაშინ რა ადგილი აქვს ამგვარ ფრაზებს?

როგორც ვხედავთ, ქართველებს ბედი არ გვი-  
ღიმის. ირგვლივ უარის ყოფა და შეგინება. თვი-  
თონ ჩვენვე ნიადაგი მოვამზადეთ, რომ ასე ქამა-  
სოკოსავით გვიჩნდებიან სპილიოტისთანა „ისტო-  
რიკოსები“. არავინ უწყის, რომელ „კულტურულ  
მისით“ აღჭურვილან ეს „მოციქულნი“ ესლაა რომ  
მათს მოქმედებას აძევს იანუსის ელფერი, რომელ-  
საც არ იცის რა უწოდოს ადამიანმა: მეცნიერული  
სიბეცე თუ შარლატნობა?

ქართლელი.

## უკანასკნელი ამბები

### მეფის მოადგილის ავადმყოფობა

უკანასკნელ დროს მეფის მოადგილე ავად იყო,  
მაგრამ ეხლა უკეთ არის. გამოწვეული იყო ლეიბ-  
ექიმი პეტერბურგიდან. როგორც ამბობენ, გრაფ  
ვორონცოვ-დაშვილი მიბრძანდება ბათომში.

### კახეთის რკინის გზა

როგორც გავიგეთ, ქართველ თავ.-აზნ.  
დეპუტაციას მიუღწევია საწადელისათვის და  
კახეთის და სილნალ-ბაქოს გზის განცალკევება  
მოუხერხებიათ.

დეპუტატთა საკრებულომ გადასწუვიტა იმ თან-  
ხიდან, რომელიც ყოველ-წლივ გადიდება ხოლმე

ხელოვნების და მეცნიერების სარჩიელზე გამოჩენილ ახალგაზრდათა დასახმარებლად — წრეულს გადიდო 2,450 მან. — მიეცეს 800 მან. შანშიაშვილს. დანარჩენი 1550 მან. შესახებ სიტყვა-კაზმულ მწერლობის სასაზოგადებას დაევალა პროექტის შემუშავება, თუ ვის მიეცეს. ამ რიგად მთელი თანხა ეძლევა პოეტებს. ღმერთმა მშვიდობა მისცემ, მაგრამ პოეტებისაგან კბილები გვაქვს დაჭრილი და ეხლა ქველმოქმედებითაც უნდა ხელი შეუწყოთ მათს გამრავლებას. ამ საკითხზე ცალკე წერილი გვექნება.

**საადგილ-მამულო კომისია შეუდგა ახალ პროექტის შემუშავებას, რომლის მიზანი იქნება სასოფლო-სამეურნეო და ექსტრაორგანიზაციურ თანხათა სესხად გაცემის მოწესრიგება.**

საადგილ-მამულო კომისიას პრინციპიალური გადაუწყვეტია — მიეცეს საგარეჯოს საზოგადოებას 20000 მანეთი, სასმელი და სარწყავი წელსაცენტრს გამოსაყვანად. ამ წყალსაცენტრის მიღი იქნება გაყვანილი აგრეთვე კახ. რკ. გზაზედ, რომელსაც მთელ სივრცეზედ არა ჰქონია ადვილი და იაფად შესაძენი წყალი.

### მამულების გაყიდვა

უკანასკნელ დროს რესის 1ხვა და სხვა კომისიის ენერგიული და მამულების თბილისის ქართულ სათავად-აზნაურო ბანკისაგან. სხვათა შორის კიდევ შეუსყიდნიათ:

ქართლში - სურამის ახლო იგარივ ცედენში აბაზაძეების სეული 2 მამული, სივრცით 115 დესეტინა.

ჯრიაში, — ერისთავების სეული მამული, სივრცით 1580.

თიანეთის მაზრაში, სოფ. მატანის ახლო შეისყიდეს 1003 დესეტინა ტუბ.

**ქართ. სასოფ.-სამეურ. საზოგადოება ამ ეამად შეუდგა მთელი თავის მოქმედების ინგარიშის შედეგნას საზოგადო კრებისათვის წარსადგენათ, რომელიც დანიშნულია 25 მარტს.**

### არამიანცის თავგასულობა

ერთ დროს დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ დავით, რომელიც გამოუცხადეს „ვერ მარტინოვის დავითი მემამულებმა, ცხვაშესწერების მიზანით“ როგორც ვიცით, სამედიატორო სამართლიდან დაწყებული, შემდეგ ყველა ინსტანციებმა ეს ადგილი აკუთვნეს ვერელ გლობებს და მათთვის განმზადებული აყრა-აოსრება შეაჩერეს.

თუ არა ვცდები, ქალაქიც ედავებოდა ამ მიწებს, მაგრამ წააგო საქმე. ეხლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ცაბაძეს და მელვინოვს ცოტხერხებიათ (?) ამ მამულის გაყიდვა არამიანცია, რომელიც შესდგომია ვერელი მკვიდრების აყრას. ვერელებს ოხოვნით მიუმირთავთ მეფის მოადგილესათვის.

### სახელმწიფო ხათათბ-როში


27 ოქბერვლის სხდომაზე სახელმწიფო ხათათბიროში, სხვათა შორის განხ-ლული იყო კანონ-პროექტი კავკასიურ პოლიციის რეფორმისა. ჯაფ-როვა დაასაბუთა საკიროება გაძლიერებულ პოლიციის გადაგდებისა და მისი რეფორმისა თვით რევიზორ სენატორის სიტყვით და იმ უსამართლობის მაგალითებით, რომელიც ხდება კავკასიაში.

„ს. დ. ჩხეიძე, თავს მხრივ, ამბობს „რუს. ველომოსტი“, — ლაპარაკობს კანონ-პროექტის წინააღმდეგ: გრ. ვორონცოვ-დაშვილი (ამბობს ჩხეიძე) ითვლება უულიბერალეს აღმინისტრატორად რესეფტში. ამას დაეთანხმებიან მემარჯვენენიც („იარაჩისტი“ ჰყვირიან მემარჯვენენი). როცა კავკასიაში მოვიდა, ქვეყანას აცნობა, რომ მისი დანიშნულებაა „აზიაროს“ ეს გ. ნაპირი ადგილი რუსულს კულტურის და ბევრს რასმე დაპირდა. მაგრამ დაპირებანი დაპირებად დარჩა. საქმით კი მარტო წამოყენებული კანონ-პროექტი გვაქვს მხოლოდ, და მთელი ლიბერალიზმი გრ. ვარანცოვ-დაშვილისა იმაში გამოიხატა რომ თბილის დაადო საპოლიციო. ხარჯი 200,000 მან.“ ჩხეიძე ფრაქციის სახელით ითხოვს, სრულებით უარჲყონ ეს კანონ-პროექტი. ამის და მიუხედავად დუმის უმეტესობა მუხლობრივ განხილავს პროექტს და იღებს მას ოქტომბრის ტბენიგსენის შესწორებით. რომლითაც მაგ. ქალაქ თბილის გადახდება საპოლიციოთ წელიწადში 216, 620 მ. მაგიერ—მხოლოდ 108,310 მან.

ეს მოვიყენეთ იმის სინიშვნიდ თუ როგორ იყავენ ს. დ. დეპუტატები „ადგილობრივ ინტერესებს“. ჩვენ გვახსოვს, არჩევნების დროს ჩვეიდე იმ-ბობდა: ადგილობრივ ინტერესებს ჩვენ ყოველთვის ვიცავთ. ფაქტიურად კი ვინმე ბენიგსენის მადლობელი უნდა ვიყვნეთ, რომ თბილის 100,000 გ. შეტი ხარჯი შემოაკლდა და კიდევ ჯაფაროვისა,

რომელიც იმტკიცებდა ჩვენი პოლიციის ფაქტიურ უფარგისობას. ჩხეიძე კი, როგორც ყოველთვის, უველავერს უარპყოფს; ეხლა გრ. ვარაბურგის ლი-ბერალიზმზე ღამპარიაკობს, პოლიციის შიგნიურ და რეალური გაუმჯობესება კი არათშეუმოწყვეტის; მის „ტკბილ სიტყვებს.“

## ირაკლი ჯაბადარი



უკანასკნელი დროის სურათი

ირაკლი ჯაბადარის შესახებ, რომლის სურა-თებს ვბეჭდავთ დღევანდელ ნომერში, მოგვივიდა ჯერჯერობით ერთი რეცენზია, გაზეთ *Fremden Bratt*-ში მოთავსებული:

შემთხვევა მოგვეცა ფრიად ნიჭიერი პიანის-

ტის ბ-6 ირაკლი ჯაბადარის გაც-ნობისა, რომელმაც დასდგა კონცერტი დიდ *Musikvereinsal-*ში ორკესტრით. ლოტბარობდა ორკესტრის ნეიბალსი.

გრიგის ა-შოლ და შოპენის ე-შოლ კონცერ-

ტების შესრულება ყურადღებას იქცევდა სა-  
ოცარის ტეხნიკით, მშვენიერის გარდმოცემით  
და ხმათა სილამაზით, რომელნიც ნამეტანი სი-  
ნაზით გადადიოდნენ პიანიში.

საკუთარ თხზულებათა რაფსოდიამ, რომელ-  
შიც ფრიად სხარტულად გადმოცემულია  
ქართული ეროვნული მელოდიები, დაგვაინ-  
ტერესა მოტივების თავისებურობით და გონი-  
ერი თავდაჭერილობით საორკესტრო ეფექტე-  
ბის შექმნაში. ეჭვი არ არის, რომ ახალგაზ-  
რდა პიანისტი მოიხვეჭს სახელს.

სამწუხაროდ ამ ამბავთან ერთად, ირაკლი  
ჯაბადარის ავადმყოფის ამბავიც მოგვივიდა. ამ ცოტა  
ხანში ჯაბადარი აპირობს ჩამოსვლას თბილისში.



ირაკლი ჯაბადარი 1907 წ.

ოთხშაბათს, 6 მარტს, სახალხო სახლში გაი-  
მართა რეჟისორ წუწუნავას ბენეფისი. წარმოდგენი-  
ლი იყო რამდენიმე სურათი-ნაწყვეტი სხვა და სხვა  
პიესიდან: „შეშლილები“ — ტრ. რამიშვილისა, პ.  
ირეთელის „სოფლის გმირებიდან“ სცენა სადგურ-

ზე და „რომელი ერთი“, თარგმანი ფრანგულით ქა-  
რელისა.

რეჟისორის მთელი ყურადღება, ეტყობა, მიქ-  
იული იყო მიზ-ან-სცენებზედ და მოსკოვის სცენე-  
ბზედ“, რასაც განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ  
მოსკოვის სამხატვრო თეატრში. ამ მხრივ წუწუნა-  
ვას ბენეფისი თითქმის უნაკლო იყო, მაგრამ შინა-  
არსით მეტად უფერული. ხალხი ბლომად დაესწრო  
და დიდის სიხარულით და აღტაცებით მიეგება ბე-  
ნეფიციანტს. მიერთვა საჩუქრებიც.

### საბერძნეთის მეფის მოკვდა

საბერძნეთის მეფე გეორგ I, როგორც გაზე-  
თები იუწყებიან, მოუკლიეს სალონიკში ისევ ბერ-  
ძენს — ალექსანდრე სხინას. გეორგ I იყო ძმა იმ-  
პერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისა და ცო-  
ლად ჰყავდა რომანოვების საგვარეულოს ქალი  
ოლღა კონსტანტინეს ასული, შვილი-შვილი ნიკო-  
ლოზ I-სა ალ. სხინასი, ამბობენ, სულით ავად-  
მყოფია, თუმცა თვითონ განუცხადებია — სოციალის-  
ტი ვარო.

### მიმქრალი სულის ადსარება

\* \*

...მერე რა მოხდა? როგორ დავხვდი შემდეგ-  
ში სწავლას? ჰო, მახსოვს, მახსოვს... სამი თვის  
უკან ფაკულტეტი გამოვიცვალე: არ მაკმაყოფილე-  
ბდა მშრალი ფილოსოფია, ლიტერატურა: ეს ხომ  
დასვენების დროს უნდა იკითხოს ადამიანმა: წამო-  
წვეს არხეინად ტახტზე და იფილოსოფოს, ესე-იგი,  
წყალი ნაყოს. გეფიცებით, რომ არასფერს დაპკარ-  
გავს თუ ამდროს იგი ქერში იყურება და ბუზებსა  
სთვლის ნეტარ ხსენებულ ლუარსაბ თათქირიძი-  
სავით. რაო გიკვირთ? რატომ? მაგრამ მესმის! თქვენ  
ხომ კარგად არ იცით, თუ რა არის ფილოსოფია!  
ამის გაგონებაზე გაგახსენდებათ ელლადა, პლატონი,  
არისტოტელი... აბა რა საჭიროა ასე შორს გაქცე-  
ვა. მერწმუნეთ, რომ ფილოსოფია მხოლოდ უხეში  
ტვინის ფირფიტის ტრიალი და მეტი არაფერი.

სულ სხვაა მათემათეკა. ამაზე შენდება მთელი მსოფლიოს ბეჭ-ილბალი. კოსმოსი რითმით მოხდო-რთული ჰარმონიაა, რომელიც მათემათიკას შეუქმნია. პო და რა, მოკვდება თქვენი არისტოტელი, მოკვდება კანტი, ჰეგელი, თან გაპყვებიან შექსპირი, გიორე, დანტე, რუსთაველი, დარჩება ევკლიდი, არხისელი, მორჩე, ედისონი... მათემათეკა ინაცვალებს თქვენს დიდ ზოლასაც... ხა-ხა-ხა! ვინ არის ზოლა? ან ვინ არის ოკტავ მირბო, ანატოლ ფრანსი, ტოლსტოი? რა ანგარიში ჩისაგდებია ჭავჭავაძე, აკაკი, ანუ გველის ჭამიას ავტორი ჩვენს ფრიალოთა არწივი ვაჟა-ფშაველა? დამეთანხმეთ, რომ უველა ესენი მხოლოდ ჩვენ მიერ ამოქრილი ოქტოს სახელებია, რომელთაც დღეს არა, ხვალ მაინც დროის სასტიკი ქარი გასცეოს და მათს წიშლილს აღაგის ახლა სხვის სახელს წააწერეს. მაშავე, გაუმარჯოს მათემათიკას. და...

შეც ფიზიკა-მათემათიკი ვხდები!

\* \* \*

...რა სისულელე, ღმერთო ჩემო, რა სისულელე! დღეს მივხვდი ამას! ან როგორ ვერ წარმოვიდგინე, თუ რა სისულელეს ჩავდიოდი! განა შეუძლიან შეჩექმეს, რომ მეთონეობა დაიწყოს? ან საიდან მომივიდა აზრად მათემათიკოსობა, როდესაც არც პაპას, არც მამას მისი ნიჭი არა ჰქონია! საზოგადოთ ხომ ქართველობის ხელობა იგი არასოდეს არა ყოფილ, მით უმცეს ჩემთვის, რომლისათვისაც ჯერ კიდევ გიმნაზიის სკამზე თავს ვიმტვრევდი, სხვას ვაკეთებინებდი ამოკანებს და გაზეპირებული ფორმულებით ისე დავწერდი კედლის დაფაზე, რომ თვითონაც არ მესმოდა, თუ რას ვხაზვდი. მაგრამ ამ შეცდომის გასწორება ხომსულ აღვილად შეიძლება. ბევრი-ბევრი ნახევარი წელიწადი მაქვს დაკარგული, ამას საზაფხულოდ იყინაზლაურებ და არც ერთს სემესტრს არ დავკარგავ. მე ვიქნები შესანიშნავი ბუნების შეტყველი! მაგრამ არ იფიქროთ, რომ ამ ერთს ნაწილს შევალიოთ ჩემი ძალ-ღონე, არა! ერთსა და იმავე დროს მსურს ხუთს ფრთხოებზე ვიბრძოლო: ვიყო სოციოლოგი, დოქტორი პოლიტიკური ეკონომიკისა, პო, იურისტი, ექიმი და .. შესაძლებელია, ინჟინერიც!

ხა-ხა-ხა! შეც კი მეცინება ამის გახსენებაზე! უყურეთ, რა კორიანტელი აუყენო ბატისტვინა უკანტროლო პუბლიცისტებს, რომელთაც ჩვენი

ცხოვრების სადაცები რაღაცაა მანქანებით ხელოთ ჩაუგდიათ! ჩამსხდარიან სარედაქციო კაბინეტებში და თხის თავებზე ლოცულობენ. დამაცადონ, ფაქტურონ, მე ვუჩვენებ უველის სეირსა?

უკანტროლო  
პუბლიცისტები

\* \* \*

...შემდეგ?

ახ, ტვინი... რა რიგად მიშლის მოგონებას ეს სატიალო ნერვების სისუსტე... უცბად ისე ამომხეთქვს ხოლმე თავში, თითქოს ვიღაცის კეტი დაერტყას ჩემთვის და გავებრუებინე...

პო, მემდეგ?

შემდეგ არ მახსოვს, ვგონებ მართლა უველა ფაკულტეტები შემოვისეირნე, მაგრამ ვერც ერთს ვერ დავუდე გული. რატომ? ნუთუ ნიჭი არ მქონდა? ნუთუ სწავლის წყურვილი გამიქრა? მერე ჩემი ბეჯითობის უნარი, უნარი, რომელიც უველა მნახველში ერთს გაოცებას იწვევდა, სადღაა მეთქი, სად დაიკარგა?

აბა რა ვიცი, ეს ჩემთვისაც უცნაურია. მხოლოდ ეს კია, რომ მე ვერსად ვერაფერს გავხდი. ვინ იცის, იქნებ სასოწარკვეთილებამდინაც მივსულიყავი, რომ ერთს გარეშოებას არ გადავერჩინე. თურმე ნუ ბრძანებთ, ენის უკოდინარობა ყოფილა უველაფრის მიზეზი. მე კი ჩემს უნიჭობას ვაწერდი.

აჲ, რაზე მივხვდი ასე გვიან? რა დამეთართა!...

\* \* \*

...ამ შეგნებამდე პირველიდ დორამ მიმიუვანა.

დორა ებრაელი ჭალია, საეჭიმო ნაწილზე იმავე სორბონაში, სადაც მე ვსწყილობ. დილი ხანია, რაც ვავეცანით ერთი-ერთმანეთს. ჯერ კიდევ იურიდიულ ფაკულტეტზე ვიყავ, როცა თვალი შემასწრო.

თქვენ უცხოელი ბრძანდებით?

— დიახ, მას-ასე!

— უეჭველია, რუსი...

— პო... არა... ესე-იგი ქართველი გამოვართ.

გაეხარდა. ზელს მაძლევს.

— ქართველი?

— დიახ.

— ღმერთო ჩემი, რა კარგია! მეც ვიცნობდი რამდენიმე ქართველ სტუდენტს, ყველანი ისეთი კარგები იყვნენ... მე კიდევ პოლონელი გახლავართ...

მე ვწითლდებოდი, პირველი იუ ჩემს სტუდენტობის ხანაში ქალთან ასეთი გამოლაპარაკება. ამიტომ იყო, რომ სრულებით არ ვიცოდი ამ უკანაურ გოგოს ჩემგან რა უნდოდა.

...ამ პირველივ იცნობის შემდეგ ჩვენ სამი დღის შემდეგ კიდევ შევხდით ერთანეთს, ისევ სორბონაში. ის-ის იყო, ლექცია გაეთავებინა პროფესორს და შინ წასასვლელად ემზადებოდა. გამოველით თუ არა, გავყეთ ერთმანეთს და ვერც კი შევნიშნეთ თუ როგორ შეველით ლიუქსემბურგის ბალში.

საღამომდინ ერთად ვიყავით. შემდეგ ნასიამოვნები დავშორდით. გვინდოდა, იქვე პისკალის ყავახანაში შევსულიყავით, სადაც ჩვეულებრივ სტუდენტობა იყრიდა თავსა, მაგრამ ეს სურვილი მხოლოდ კვირა საღამოს განვახორციელეთ. ამის შემდეგ მეც და იმასაც თითქმის ავალმყოფობად გადაგვექცა სორბონიდან წასვლა... ხან სად და ხან სად, ტემა საღამორავოდ არ იყო ერთი, უფრო ნაწვეტებით გაიზომება უოველი ჩვენი საუბარი. უმეტეს შემთხვევშია კი შეფასებაში ვიყავით, ლუვრის მუზეუმის სიდიდეზე, სადაც არა ერთხელ და ორჯელ შევკამათებულვართ ჯიაკონდოს ჯადოსნურ ღიმილის დანიშნულებაზე და მიღოსის ვენერს სიმშვენიერებზე.

არ ვიცი რატომ, მას არ მოსწომდა ეს ხელოვნების გვირჩვინი. დაიცინებდა და მარწმუნებდა, რომ თავისთვად ეგ ისეთს არასფერს წარმოადგენს, ოღონდ თუ ისევ დიდ ფასსა ვდებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ათავამზურად გადმოგვეცა, წინდაწინვე დაგვარწმუნეს მის სიდიადეში და წინააღმდეგზე ფიქრიც კი შეუძლებლად მიგვაჩნიაო. ვერც ჩემი პასუხი იყო სახარბიელო. წარმოიდგინეთ, დორასთან ვიდრე მივიღოდი, საღამოარაკო თემა მომიხაზნია შშვენივრად, რომ უსათუოდ მისი ყურადღება დამემასუხებინა, მაგრამ იმასთან მისვლისას მითრინდებოდა, სიტყვებს კიდევ აბდა-უბდად მაღვებოდა ენაზე, რის გამოც ხშირად მისი დაცინვის საგანიც გავმხდარვარ, თუმცა ეს დაცინვა მეგობრულად მიმილია და რატომდაც ერთგვარ ქათინაურებადა ჩამითვლია.

საზოგადოთ დორამ დიდი სიმპატია მოიხვეჭა

ჩემში მისს კეთილს გულს უნდა დაუმატოთ მისი საშინელი ძეცვენტით დაპარაკი, რომელსაც უფრო შეტი ყურადღება მივაჭირ, ვიდრე მის სილებაზეს. ის ჩემზე ზრუნავს. დამარწმუნა, რომელ მისამართის კოდექსის სწავლა ჩვენ, უცხოელთ, არაფრად გამოგვადგებათ. პო და რა, რა თავში სახლელად მინდა ნაპოლეონის კოდექსი, როდესაც ვახტანგ რჯულ-მდებელის კანონები ერთხელიც არ გადამი-თვალიერდია. გადაგვარებაც ასეთი უნდა! რომის უფლება ლათინურად და ნაპოლეონის კოდექსი... ეს რაღაც წარმოუდგენელია. დორა მართალია, ისევ ეჭრობა სჯობს... და მეც მის გვერდით ამოვყავ თვითი.

...დორა უხაროდა, რომ ეხლა თითქმის სულ ერთად შეგვძლებოდა ყოფნა. საანატომიო განყოფილებაში ცდის დროს ერთმანეთს ვეხუმრებოდით, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე, რის გამოც ფრანგ ამხანაგობის ყურადღება არა ერთხელ და ორჯელ მიგვიქცევია. მაგრამ ას ნიშნავს მათი შენიშვნები, როდესაც დორა უმანქო, ცით-მოვლენილი ანგელოზი, რომელსაც ბიწიერების ჭრები არასოდეს არ მიეკარება.

ღმერთო, ასეთი ხალხით რომ აგევსო ქვეყნიერება, ნუ თუ კიდევ ბოროტებას საღმე ადგილი ექნებოდა?

\* \*

...დორა შეკვირვებს თავის გონების სიმკვრცელით. იმ დღეს რეფერატს კითხულობდა. მოელი რუსის კოლონია დაესწრო, რა თქმა უნდა, ჩვენი თანამემამულენიც იყვნენ. ამათი რიცხვი ერთობ მცირე იყო, თუმცა არც ერთთან დამოკიდებულება არა მქონია: მეშინოდა, ვაი თუ სამეცნიერო მუშაობაში ხელი შემიშალონ და მომაცილინონ მეთუთეს, რომ მათ შორის მე უკოდველ პაპის ადგილი მექირა, ჩამომშორდნენ, ასე რომ „ლათინთა უბანში“ ჩემი არსებობა თითქმის აღარც კი იცოდენ. გაუკვირდათ. ცივად შორიდან მომენტენ, მაგრამ ახლოს არც ერთი მათგანი არ მოსულა. მეც წინა რიგში მოვექცევი და დორას მივაშტერდი.

ასე შეგონა, მის ბაგიდან სიტყვების ნაცვლად მარგალიტები სცეივა მეთქი. პირველად მხოლოდ ეხლა მივაქციე უურადლება იმის სილამაზეს: მაღონა... ჯილკონდა!..

არა, რა სულელი ვიყავ, რომ თვალს ვარიდებდი ამ მშვენიერს ქმნილებას?

\* \*

...რეფერატის შემდგომ დორას მივულოცე. სახლამდინ გაცილება მოხოვა. მეც სიამოვნებით დავთანმხდი. გზად მორცხვი ბავშვივით სიყვარული გამოვუცხადე. თავს მოვიკლავ მეთქი. დორამ კი ისტერიულად გადიხარხარა.

ნეტა რა აცინებდა? ნუ თუ სიყვარული ასეთი სასაკილო რამ არის?

\* \*

...მოახლოედა ზაფხული. უველა აგარიკად იხინება. დორას რჩევით მასთან ერთად მივალ ვილმობლში. ეს პატარა ქალაქი მართლაც მყუდრო გამოდგა. ვისაც უნარი აქვს შრომისა, უეჭველად ბევრს რამეს გააკეთებს. პანსიონის დაჭრაში დორაც დამეხმარა: პრაქტიკა მეტი გექნება, ფრანგულს გაივარჯიშებ და ორს დაკარვულს წელს ინიაზლაურებო. მეც მიხარიან, მიხარიან იმიტომ, რომ მჯერა დორას კეთილი რჩევა კარგს ნაყოფს გამოიდგა. ესეც არ იყოს, ისიც ჩემს ახლოს დადგა, ასე რომ თუ პანსიონში მომეწყინა, ხელად შემიძლიან ჩივირბინო და მასთან ერთად წავიდე სასეირნოდ. განსაკუთრებით მარანას ნაპირების-სკენ.

\* \*

...ღმერთო ჩემო, რა კარგია ეს ლაუვარდი მდინარე! ორიოდ ფრანკი მიეც შენავეს, ჩაჯეჭი შიგ და შენთვის წყნარად ისრიალე მის მშვიდს, აულელვებელს ტალღებზე, თანიც იმდერე, იხუმრე შენს მეგობართან, მერე ისეთს მეგობართან, როგორიც დორა გამოდგა. მიუშვი ნავი თვის ნებაზე,

ნიჩის მოსმა არც კი უნდა. თუ არა და დორას დაავალე შენავეობა. ის თავის გამოქანდაკებულ შიშველი ხელით მოსწევს ნიჩაბს. გრანიტული ოხევით ტალღას შემოჰკრავს ნაზალეჭორუსულ დან გადიკისკისებს. და ამ ყოფაში შემომატებულ შორის, ვიდრე ლელით დაფარულ ნაპირებში თავს არ ამოჰკოფ. აქ კი დორას უნდა მიეხმარო, რომ ნავი შემოატრიალო. ნავის გადმოქამება ინერციის ძალის შეჯახებით დორას გვერდით გვერდით გადმოქანებს, ჩემს მუხლს ფერდით მოეჯახება, გადიკისკისებს - მეც აგრეთვე. შემდეგ კვლავ წელში გასწორდება და ისევ სიმღერა, ან ტიტინი ათას სისულელეზე.

მაგრამ არის წუთი, როდესაც დორა უცნაურად იცვლება, რატომლაც სევდით ილრუბლება. ამ დროს იგი ქანდაკებასავით გაშეშებულია, იდაყვ-დაურდობით იგადაბურებს ნავიდან მდინარის ტალღებს და რალაცას მისჩერებია, ერთი შეხედვით ვეგონებათ, რომ თავის შიშველი გულ-მკერდის ანარეკლის მზერითა სტკება. მაგრამ არა, დორა ფილოს სოფოსობს!..

— რა ამბავია, დორა? — ვეკითხები, როცა ერთხელ ამოოხრა: შენ მოწყენითა ხარ.

შართალია.

— ასე უტბად.

ის მხრებს იწევს. შემდეგ მეც ვილრუბლები. მაგრამ დორა კაეშანის ლრუბლებს მიფანტავს:

— მე ვუყურებდი ტალღებს და ჩემს სიცოცხლის მიმდინარეობის ვალირებდი მის სრბოლას ჩვენი ცხოვრების წუთებიც ასეთ რიგად მირბიან წინ-წინ და არც ერთს მათგანს აღარ ეღირსებათ დაბრუნება.

მე გამეცინა, იმასაც...

კიდევ რალაც უშინაარსო ნაწყვეტებით განვაგრძეთ საუბარი, მაგრამ არ იქნა, ვეღარ დავიბრუნეთ წუთიერი თავდავიწყება. ჩვენს ნაძალადევს კისკის ერთი მელანქოლიური სიმღერა მოჟყვა დორას მხრით, რომელიც ზედ შუაზე შესწყვიტა.

მეცნაურა.

— დორა!..

— წავიდეთ, — მეუბნება, — მცივა...

შენავეს სწრაფად გავუსწორდი. მინდოდა ეტლი დაშეჭირა, მაგრამ დორამ არ ჰქნა.

— ივალ ხარ, დორი, შენ სიარული არ შეგიძლიან...

— როგორ არა... შემიძლიან... შემიძლიან...

ვილმობლი ჩვეულებრივ მხიარულობდა. ქუჩები ელიქტრონის ზეირთებს ჩაენთქა. ნაცნობ ყავახანიდან უკვე ჩაბრინწიანებული ხმით გამოისმოდა ბარიტონით ტორეადორის პარტია. მინდოდა, დორია შემეცატიქნა, მაგრავ არ ისურვა. შემდეგ ბინამდე ისე მივიყვანე, რომ ერთმანეთს აღარ გამოვლაპარაკებივართ.

— გამარჯვებით...

ხელი არც კი ჩამომართვა. გააღო კარები და პირდაპირ სახლში აირჩინა. მარტო დავრჩი. კარგა ხანს დაფიქრებული ვიდექ და სრულებით ვერ გამეგო, დორია რად დადგა ასეთ უცნაურს გუნებაზე!

შინ დაბრუნებისას მარტო ტუშურკა და ფეხსაცმელები გავიხადე და ისე წამოვწექი, რომ ოთახი არც კი გამანათებია...

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება).

## ბალკანეთის ომი და საერთა-შორისო განწილება

როგორც მოსალოდნელი იყო, ბალკანეთის ომი „მახლობელ აღმოსავლეთის“ საკითხი უფრო გაამწვავა და ევროპის იარას ბასრი შაშარი შეუყირა.

მთელი ევროპა აყაყანდა თავიდანვე და შრივალი სხვა და სხვა ინტერესების შეხლი-შეჯახების შემდეგ, უფრო ნათლად გამოირკვა, რომ ევროპი-ელ სახელმწიფოთა ეგრედ წოდებული „კონცერტი“, მჩხავანა კატების კონცერტსა პგავს, რომელთაც ერთმანეთისათვის და სხვისთვის მხოლოდ რისამე წაგლეჯაზედ უჭირავთ თვალი.

ეხლა, მართალია, სისხლი ისევ ბალკანეთზე იღვრება; პატარა, აფხორებული „მოკავშირე“ სახელმწიფონი სჯიჯგნიან საბრალო, დაუძლურებულ ოსმალეთს, მაგრამ ყურადღება მთელი კაცობრი-

ობისა გადატანილია მთელს ევროპაზედ. ბალკანეთის ომი ერთგვარი პულსაცა არის, გულის აჩქარებული ცემა, რომელიც მთელი ევროპის რეგიონზე, ყოველ მის სახსარში სტანდარტული და აგზნებულ ეინს აღვიძებს. თუ დასაწყისში მოსალოდნელი იყო, რომ პარაწინა ჩერჩოფორის ზარბაზანს, ზეავივით უპასუხებს გამოხმაურება ავსტრიის ზარბაზნებისა რუსეთის საზღვარზედ, ეხლა არა ნაკლებ მოსალოდნელია ჭექა-ჭუხილი საფრანგეთ-გერმანიის საზღვრებზედაც.

ომი ბალკანეთზე საბედისწეროდ გრძელდება. დღიდან დაწყებისა აღრიანობოლს და სკუტარის „ორი დღის“ შემდეგ იღებენ და კი ვერ აიღეს, მართალია, პერძებმა იანინა დაიპყრეს, მაგრამ ჩატალჯის სიმიგრენი შეურყევლადა სდგანან.

ორივ მებრძოლი მხარე დაიღალა, არავათი გამოელია, მავრამ ევროპა კი არ არიგებს მათ, როგორც ჭიუა დამჯდარი არპიტრი-შუამვალი, არამედ აღანძული სახით თვითონაც თრთის, რომ მოჭიდავეთა ავლა-დიდება ხელში ჩაიგდოს.

გერმანიამ უეცრივ გადასჭრა ჯარისკაცთა გამრავლება და სამხედრო-საომარ კრედიტის გაძლიერება. ასეთი დიდი ხარჯის გამომწვევი ნაბიჯი, ყოვლად შეუძლებელია, გერმანიას რაიმე „ცუდი განზრახვით“ არ გადაედგას. გერმანია, ავსტრია არ არის, რომ მარტო დასამუ ქრებლად გაეწია ასეთი უზომო ხარჯი.

იქნებ ეხლა, როცა ავსტრიის ეკონომიკური კრიზისი გამოაშვარავდა მობილიზაციის დროს და აუტანელმა ხარჯებმა თითქმის სამარცხვინოდ უკან დაახვინეს, გერმანიისათვის უფრო ცხადი შეიქმნა, რომ საერთაშორისო ბრძოლაში იგი მხოლოდ თავის თავს უნდა ენდობოდეს. იტალიას, ამ მესამე რგოლს სამთა კავშირის ძეწყვისას, ხომ ყოველთვის სახიფათო „ბზარი“ ეტყობოდა. ჯერ ომის პირველ ხანებშიაც, როცა ავსტრია ნამეტანის სიმებურით ამხედრდა სერბიის წინააღმდეგ, იტალია დიდს ყოყმანში იყო და ურჩობას აცხადებდა. ყველა ეს და ბევრი სხვა მოსაზრება, გერმანიის მთავრობას პირს შეიგნითენ აბრუნებინებს და თავის საკუთარ ძალებს იკრებინებს.

მაგრამ ასეთი დარღვევა ევროპის „წონა-სწორობისა“, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა სხვა სახელმწიფოებში. საფრანგეთმა მაშინვე გააძლიერა სამხედრო კრედიტი 500.000,000 ფრანკით და შეიტანა კანონ-პროექტი სამხედრო ბეგრის ვადის გაგრძელებისა სამ წლიამდის; რითაც რიცხვი

ჯარისკაცთა ერთი მესამედით იმატებს. ინგლისში საომარ ფლოტის ბიუჯეტი იმდენად გაადის, რომ გაზეთების სიტყვით ნავთ-საშენებლები (ვერფხ) ვერ აუვლენ იმოდენა მუშაობას და არც იმდენი მუშა ჰყავს ინგლისსათ. და ეს ინგლისში, საცა მთელი სამხედრო ძალა—ფლოტშია. ამის გარდა, დაეინებით ლაპარაკობენ საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღებაზე, რასაც იქამდის ინგლისში აღვილი არა ჰქონდა. კონსერვატორები მოითხოვენ აგრეთვე ჰაერში მფრინავ ფლოტის გაძლიერებას.

რუსეთი თითქმ ყველაზედ ნაკლებ ემზადება ოშისათვის, თუმცა ყოველად შეუძლებელია, გარეშე მაყურებელის როლი შეინარჩუნოს, თუ საერთო ბრძოლა გაჩაღდება.

ყველა ამ საერთო ხასიათის მზადებას რომ ის წვრილმანებიც დაუმატოთ, რომ საფრანგეთი ელზას-ლოტარინგიის დაბრუნებაზედ ოცნებობს, რომ ინგლისი ეგვიპტეში ამაგრებს ალექსანდრიის ნავთ-საყუდარს, რომ გერმანია სამხედრო აღლუმებსა მართავს აღმოსავლეთ საზღვრებზედ ისეთის გეგმით... ვითომ კიხე-სიმაგრეებს იცავს და სხ.—ჩვენ მივიღებთ იმ საერთო სურათს, რომელიც საერთა-შორისო ოშისათვის სამზადისსა ჰგავს ძალიანა.

მაგრამ ნუ დავივიწყებთ, თუ რა „ძვირი ჯდება“ ნხლანდელი ომი, ნუ დავივიწყებთ, თუ რა საშინე-ლებას უქადის იგი ევროპის ლაშქრებს, რა ხითათს უმზადებს ყველა სახელმწიფოს და მაშინვე იბადება მოსაზრება, რომ ამ ომს „საფუძველი“ არა იქვე. იგი ხელსაყრელი არავისათვის იქნება და მარტო ამას შეუძლიან მიჯაჭვოს თავაწყვეტილი ბელლონა ოქროთი დაბრმავებული ევროპისა, ამის სიმპტომატიური ნიშანი ავსტრიის და რუსეთის დემობილიზაცია არის, რომელთაც მარტო „სამზადისმა“ ჩაყლაპინა მილიონები.

ავსტრია, რომელიც ყველაზედ მეტად იწევდა საომრად, დღეს, დარცხვენილი, ლამის შეურიგდეს სკუტირის გადასვლის ჩერნოვორელების ხელში; ხვალ ეგებ გერმანიამ შეიგნოს, რომ აღრიცხელი სამხედრო ხარჯი არა ლირს იმ ფასიდ, რა ფასსაც იგი სდებდა ოსმალეთის სიმრთელეს და სიძლიერეს.

ამ რიგად, ევროპა განმზადებულია საომრად და საომარი უნი ევროპიელ მთავრობათა კიდევ თხოულობს წყურვილის მოკვლას, მაგრამ ესეთი „ოპერაცია“ და ერთა სისხლის დენა მარტო მათზე არაა დამოკიდებული.

ეს კი ცხადია, რომ ატმოსფერია გაეღენთილია საომარი ელექტრონით და მისი დაცლი-დამრეტა მით უფრო ძნელდება, რაც მეტი ხანს გრძელდება ბალკანეთის ომი, რომელსაც შეუძლებელი წილი ხვიოს, როგორც გორგალმა, ჯერ მარქიზის მფრე ალბანია-აესტრია, შემდეგ რუსეთი, გერმანია-საფრანგეთი და ბოლოს ინგლისიც.

მეომარი.

## წვრილი კრედიტის ამხანა-გობა მანგლისძი

ისე დღე არ გაიყდის, რომ გაზეთებში არ გვაუწეოს, ამა და ამ სოფელში, თუ საზოგადოებაში, ეს და ეს კულტურული დაწესებულება დაიარსათ. უვალა ქს ხდება ქართლში. სხვა დაწესებულების გარდა დღევანდვამდე აცზედ შეტი წვრილი კრედიტის ამხანაგობა დაარსებული, არის აგრეთვე სასოფლო სამეურნეო ამხანაგობაც. მათ შესვეურებულია შეიგნეს ასეთი დაწესებულების მნიშვნელობა, ხალხი სამოგნებით უკრთდება ერთმანეთს მუქნების გასაუმჯობესებლად და ერთი ერთმანეთის თვის წარსამავრებელად. ჩვენი მხარე კი ყველა ამას მოკლებულია. აქ სალხეს ჭერ სულ არავინ ჭავას გზის მანებელებიდან და, თუ მომზოგის თითო თრთლა და სცდილობს ხალხს რამე შეიგნებინოს, მათ ედობებიან წინ ხალხის მტრები, რომელთაც თვისი „ცოდნა“ მ.რტო თვისის კუჭის სასარგებლოდ გადაუქცევიათ და სხვასაც ხელს უშლიან.

ამას წინად ს. პრიუტში რამდენიმე ქართველმა განიძრახა შერძეობის ამხანაგობის მოწყობა, ამხანაგობაში მონაწილეობის მიღებაზედ სურვილი განაცხადა სამმა მესქონლე გდებებად. მიმართეს წნობილ შეერნეს, ბ. ნ. ი. გავრიშვილს, მთხაწილეობა შიედო ამხანაგობაში და მასთან საქმის წარმოებაც, როგორც სპეციალისტი, მას ეკისრნა. ბ. გავრიშვილი ამხანაგობის ასეთს კანზრახვას სიმოვნებით მიუგება და დროც დაუნიშნა მასთან მანგლისში ბირთბის დასაწერად და გმბმის შესამეშავებლად, მაგრამ დღევანდვამდე მასთან არავინ მისულა კარდა თრი სამი მეთაურისა; გდებები თოვის სისხლოვესაც გეღარ მიიკარეს. თურმე საქმე იმამია, რომ გდებებისათვის ვიღაცას რაღაცა წაუფუჩხებია, და ამ რიგად ჭერჭურობით საქმე შეჩერდა. ასევე ხდება წვრილი კრედიტის ამხანაგობის დაარსებაშიც წევსში. რუსებში კი სულ

სხვა; ესენი ერთმანეთს ნდობით ეკიდებიან და შეერთებულები მთებულებები თვისის ცხოვრების გასაუმჯობესებად. ესენი სარგებლობები ჩვენი ხალხით, ჩვენ კი ჩვენის უნდობლობით ვრჩივით უფრესულის სიძნელეში

დაირსეს რუსების წვრილი კრედიტის ამხანაგობა, არჩის გამგების წევნი, თავმჯდომარებრივ ერთ ხმად არჩის ბ. ნ. ი. გავრიშვილი, თუმცა იქ არ იყო, წევრები მდ. ჩიქაძე და სხვანი, როგო ინსპექტორმა უავრიშვილი მაიწვია და გამოუცხადა ხალხმა თავმჯდომარები თქვენ აგრძიათ, მან უარი განცხადა: „ოუ სამსახურია ისეგ ჩემს ხალხს გემსახურებით, უანადგან ერთსა და იმავე დროს თანგან ჭერ ვიქნებით და სოსოფა ინსპექტორს დახმარება გაეწია ასეთ ამხანაგობის დასრულებაში ს. დად თანეთში, თონეთელებისათვის, შეავასის საზოგადოებისათვის და პატარა თანეთის საზოგადოებისათვის, ინსპექტორმა გაითვალისწინა მანგლის, როგორც შეაგული გარშემო შცხოვებს ქრთველებისათვის და უშასესა: „ოუ ისურვებს ქართველი ხალხი და შემთხვერთდება რუსების, სამოყნებით მივიღებთ და, როგორც ძირითად თანხეს ისე მოგლე ვადიან სესხეს მოვამატებოთ“.. გავრიშვილი მხოლოდ მაშინ დასთანხმდებ თანამდებობის ასრულებას. ჭერ ჭერობით მანგლის სელთ ძირითად თანად მიეცათ 1500 მ., მოგლე ვადან სესხად 6000 მ.

როგორც ბაზეთებიდან ვიცით, ბ. უავრიშვილმა უბებ დადგენისა რეს ამხანაგობის თქმა ზემოხსენებულ ქართველ საზოგადოებების მიღებაზე ამხანაგობაში და წარადგინა სადაც ჭერ არს დასამტკიცებლად. თუმცა დამტკიცება ჭერ არ მოსულა, \* მიინწ უავრიშვილის ქრებიულმა მოქმედებამ რუსებზედ სამჯერ მეტი მსურველი ადმინისტრაციისა ამ ამხანაგობისათვის.

სემიტი.

## ბიბლიოგრაფია

რედაქტორ საყმოწყილო უფროალ „ჯეზილის“ მეორე ნომერი. პირველი ნახევარი წიგნისა,

\* ) ამ წერილის დაბუქლვამ დაიგვიანა შემთხვევით.

რომელიც მცირე წლოვანთათვის არის, /შედგენილია ძალიან კარგად. მოთხრობები კ. მიტო და თაბრია:“ ნინო გოგნიაშვილისა, „რა ახორციელია“ მანანასი, „ქვა-მოსარჩევ“ ისე ურმჟღალერულობის მეორეზედ უკერვესია.

მეორე ნახევარში, მოთხრდილთათვის, შემდეგია საინტერესო: „ძლიერს“, სურათი სოფლის ცხოვრებიდან გ. ქუჩიშვილისა, „ვლადიმერ ალექსი-შეხიშვილის იუბილეის გამო“ ე. გაბაშვილისა, „პირველ ყოფილ იღამიანის ყოფა-ცხოვრება“ იტა ნაკაშიძესი. და „მოხუცი მეთევზე“, ნათარგმნი რუსულიდან ნინო ენუქაძის მიერ.

რედაქტორ მიიღო რამდენიმე წიგნი, გამოცემული წ. კ. გ. საზოგადოებისაგან და მისი ქუთათური განყოფილებისაგან: „ალი“, მოთხრობა ნიკო ლომაურისა. „თავდადებულნი ქართველნი“, ი. გოგებაშვილისა და „მაგდანას ლურჯა“ ეკ. გაბაშვილისა.

## ჩ ვ ე ნ ი თ ვ ს ტ ა

**კონკორდამს:** ეს სადიდმარხვო ფსევდონომია. თუ ნამდვილი გვარი? მოთხრობა კი მეტად უშარილოა.

**ა- შვილს:** „...ისეთი ქარი ავარდა—ლელამიწას ანძრ ევდა.“ გეოლოგები, პირიქით ამტკიცებენ, —მიწა რომ ინძრევა, ხშირად ქარი ამოვარდება ხოლმეო. ქართველებიც ამბობენ: უკ, რა ქარი ამოვარდაო... როცა სტუურის ვინმე.

**ბ- მარა:** ერთ პატარა ზღაპარში ოხუთხმეტი ანდაზა მოგყვავთ. კარგი არის მეთევზემეტეც: არა შეკვა მწყერი ხესაო.

**გ- ის „მაიმუნი იჯდა; და მღეროდა...“<sup>(?)</sup>** ეს უფრო ავტობიოგრაფიასა ჰგავს, თითქო?

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

# ԱՐԴՅՈՒՆՎԱՐ ՎՐԱՎԵԼՎԱԳՈՐԾՈՂ ՀԱՅ

四庫全書  
卷之三

# “蒙古人民共和国”

მერიულობა ამხანდება „ლილომ“ ობიექტის ნამდვილი და ჰიპთეზური რძით მოიპოვა კან-  
გი ბაზარი და ასელა აუგროოფებს თავის საქმეებს, რითაც შეძლება მიეც მსურველი  
მიაწოდოს საუკუთესო რძე ბინაზე, ცდლები დაბუჭიდოდ ჩატოვდეთ.

რძის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „კლდე“ გაბაევსკიй პერ. № 3. და  
ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: ბარათუნსკაა 5.

**Открыта подписка на 1913 годъ**  
на политическую, общественную и литературную ежедневную газету

# B A K A B K A B E

# S A H A B K A B E

безпартійно-прогресивний демократический органъ, обслуживающій интересы Закавказскаго края, безъ различія націоналистовъ.

(Восьмой голъ изъявія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА  
Съ доставкой въ городъ Тифлисъ

12 м. 5 руб., 11 м. 4 р. 70 к., 10 м. 4 р. 40 к., 9 м. 4 р. 10 к., 8 м. 3 р. 80 к., 7 м. 3 р. 40., 6 м. 3 р.  
5 м. 2 р. 60 к., 4 м. 2 р. 20 к., 3 м. 1 р. 75 к., 2 м. 1 р. 35 к., 1 м. 75 к.

## Съ пересылкой для иногороднихъ

7 p., 6 p. 50 к., 6 p., 5 p. 50 к. 5 p., 4 p. 50 к., 4 p., 3 p. 50 к., 2 p. 80 к., 2 p. 10 к. 1 p. 40 к. 75 к.

Заграницу вдвое больше городской.

Для годовыхъ подписчиковъ допускается РАЗСРОЧКА по 1 в. на 10 сяѧ.

Подписка принимается только съ первого числа каждого мѣсяца и не далѣе, какъ до конца года, въ конторѣ редакціи на Дворцовой улицѣ, въ домѣ Грузинскаго Дворянства (входъ со двора грузинскаго театра).

Телефонъ № 917.

## ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНИЯ:

Для Закавказья на место, занимаемой строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 коп. Стороннее сообщение 15 коп. звънчика и веселения 20 коп.

За многократные объявления склада

Объявления о спросѣ и предложеніи труда, обѣ отдачѣ квартиръ, наймѣ прислуги и т. д. на 4 стр.—25 к. каждое. Траурное объявление—4 руб.


Объявление въ предѣловъ Кавказа привиняются исключительно въ центральной конторѣ торгового дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ. Мясницкая д. Сытона, въ отдѣленіяхъ въ гор. С.-Петербургѣ—большой Морской, № 11, въ Варшавѣ—Маршалковская, № 130, п. 24 и. передъ текстомъ и 12 кон. послѣ текста.



ა თ ი თ ხ მ ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

# კომპერატიული ღვინო


საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ლვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუცილია  
1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განკუთხილებანი: ბაქოში, ასხა-  
ბადში, ტაშკენთში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში,  
ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ლვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მიზნებისათვის საზოგადოება „კახე-  
თი“ დაარსებულია 1894 წელს. სა-  
ზოგადოებაში არის 164 ფეხი. „კა-  
ხეთის“ საზოგადოების ფეხების აზგო  
866', ღვინის 306ას, საიდანაც  
უცილავინ საზოგადოებას ნამ-  
დვილ კახურ ღვინოს!

## კალა მრთვებაში!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადო-  
ების წევრებად და ამით დაიხსენით  
თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-  
ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან  
ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და  
საქმეში მონაწილეობით. ყოველ კა-  
ხელისთვის ფრიად სასარგებლო  
„საზოგადოების“ გაფართოვება—  
გაძლიერება, მისი წევრების გაძლიე-  
რების და გამდიდრების მომასწავე-  
ბელია.

უკანასკნელ დარს საზოგადოების  
სამსახური მოწვევისას და გამიღება  
დაზინაზულია.

მოითხოვთ საზოგადოების  
წესდება.